საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

ნუგზარ სალიას
მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	10
პროფესიული აქტივობა	0	5
ქულათა ჯამი	70	100

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 18.11.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1/207 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ნუგზარ სალიას

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ**:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1/207 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის N1/237 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 25 პირი, მათ შორის - ნუგზარ სალია.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი

,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი: **ნუგზარ სალია**

ასაკი: **57 წლის**
დაბადების თარიღი: **26 ივლისი, 1964წ.**
განათლება: **უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ)**
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **34**
სამუშაო ადგილი: „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო" - აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე; საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - ადვოკატი

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ნუგზარ სალიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
3. პიროვნული და პროფესიული ქცევა;
4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.
5. ფინანსური ვალდებულებები.

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობის

დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის გადახდისას, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის - კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, კორექტულობას, პრინციპულობას, სამართლიანობას, მტკიცე ხასიათს, მიუკერძოებლობას, შრომისმოყვარეობას და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

ნუგზარ სალიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 7 იანვრიდან 2021 წლის 7 იანვრის ჩათვლით, ნუგზარ სალიას არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებათა ჩადენის ფაქტები.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

სხვა რაიმე სახის ინფორმაცია, რაც კანდიდატის ზემოაღნიშნულ უნარებს დააყენებს ეჭვქვეშ, წარმოდგენილი არ არის, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ნუგზარ სალიას მიმართ არ მოიპოვება ინფორმაცია დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნუგზარ სალიას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, ნუგზარ სალია მხარედ წარდგენილი არ ყოფილა.

ყოველივე აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის მიუკერძოებლობა, ამდენად ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ყველა ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შეფასების საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, ნუგზარ სალიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
4. *პროფესიული თვისებები;*
5. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
6. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატს აქვს სამართლის თეორიული საფუძვლების ზოგადი ცოდნა, კანდიდატი იცნობს სასამართლო პრაქტიკას, თუმცა, ძირითადად, სისხლის სამართლის მიმართულებით.

კანდიდატმა ვრცლად და საინტერესოდ წარმოადგინა საკუთარი ხედვები ჯგუფური დანაშაულის, მათ შორის ხულიგნობის მაკვალიფიცირებელი გარემოებების თაობაზე; იმსჯელა თანამონაწილეთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებზე, ამსრულებლის ექსცესზე და მართებულად მიუთითა ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის გამორიცხვის თაობაზე.

კანდიდატის პასუხები, რომელიც უკავშირდებოდა ცრუ ჩვენებასა და ცრუ დასმენას, ასევე მტკიცებულებათა რელევანტურობასა და მტკიცებულებათა ავთენტურობას შორის სხვაობას, იყო სწორი. ასევე სწორად უნდა შეფასდეს კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები, რომელიც უკავშირდებოდა ,,მირანდას გაფრთხილებას", სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო შეთანხმების არსს და გამამართლებელი განაჩენის პირობებში ზიანის მოთხოვნის უფლებას.

კანდიდატმა ვერ ისაუბრა, რას ნიშნავს ,,Kontra Legem" კანონის განმარტება, რა სუბსტანციური ტესტის გამოყენებით ხდება ,,აგენტ პროვოკატორის" თაობაზე საკითხის გადაწყეტა; ვერ მიუთითა კანონის განმარტების მეთოდებსა და ხერხებზე; არ ისაუბრა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებების თაობაზე; არ განავრცო მსჯელობა საკითხზე, რა განსხვავებაა ადამიანის პატივსა და ღირსებას შორის; წარმოდგენილი ვერ იქნა პასუხი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმების;

ადმინისტრაციულ პროცესში სუსპენზიური ეფექტის; საპროცესო კანონდებლობაში პრევენციული დაცვის ღონისძიებების შესახებ.

კანდიდატმა ვერ უპასუხა განსჯადობის თაობაზე დასმულ შეკითხვას, კანდიდატი არ იცნობს ბავშვის უფლებათა კოდექსს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს, ვერ იძლევა სიძულვილის ენის დეფინიციის განმარტებას, არასწორი იყო შეთავაზებულ კაზუსთან დაკავშირებით კანდიდატის მიერ გაცემული პასუხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატს ვაფასებ 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს გააჩნია იურიდიულ სფეროში მუშაობის 34 წლიანი გამოცდილება. ზეპირი გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა დასაბუთების საშუალო მაჩვენებელი; მისი მხრიდან წარმოდგენილი არ არის სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტი, რაც მომცემდა აღნიშნული მახასიათებლების სრულად აღქმის შესაძლებლობას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **18 ქულით.**

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

გავეცანი კანდიდატის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს ნარკოპოლიტიკაზე, დაზარალებულზე, ავტოსატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევით ჩადენილ დანაშაულებზე, კონფლიქტებზე.

მიმაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრებები არ წარმოადგენს კანდიდატის მხრიდან კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში განხორციელებული სიღრმისეული კვლევის შედეგს და იძლევა დასკვნას მხოლოდ ზოგადი მოსაზრებების არსებობის თაობაზე.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

4. პროფესიული თვისებების მახასიათებელი

წარმოდგენილი მასალები და გასაუბრების შედეგები ადასტურებს კანდიდატის შრომისმოყვარეობას, საქმისადმი პასუხისმგებლობას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **14 ქულით.**

5. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

აკადემიური მიღწევებისა და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. ამასთან, კანდიდატს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

6. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

კანდიდატს არ აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები და ნაშრომები. სხვა ინფორმაცია პროფესიულ აქტივობასთან მიმართებაში წარმოდგენილი არ არის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 0 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 70 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 18.11.2021 წ.